ევროკავშირი
საქართველოსთვის

Project funded by the European Union

საქართველოს 2021 წლის მუნიციპალური არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა

ონლაინ მედიის პოსტ-საარჩევნო მონიტორინგის ანგარიში

24 იანვარი - 23 მარტი, 2022

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია

წინამდებარე ანგარიში მომზადებული და გამოცემულია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მიერ, ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია და მისი შინაარსის აღქმა ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პოზიციად დაუშვებელია.

სარჩევი

შესავალი 3

მონიტორინგისთვის შერჩეული მედიასაშუალებები 3

მონიტორინგის სუბიექტები 4

მეთოდოლოგია 4

მონიტორინგის ძირითადი მიგნებები 5

მედიამონიტორინგისთვის შერჩეული ონლაინ მედიასაშუალებების ანალიზი 7

ambebi.ge 7

interpressnews.ge 10

news.on.ge 13

netgazeti.ge 16

radiotavisupleba.ge 19

mpn.ge 22

publika.ge 25

tabula.ge 28

sputnik-georgia.com 31

შესავალი

ონლაინ მედიაში პოსტ-საარჩევნო პერიოდის გაშუქების მონიტორინგი განხორციელდა 2022 წლის 24 იანვრიდან - 24 მარტამდე.

მონიტორინგი მიზნად ისახავდა იმის შესწავლას, თუ რა სიხშირითა და ტონით აშუქებდა ონლაინ მედია სხვადასხვა სუბიექტს პოსტ-საარჩევნო პერიოდში? გაშუქების ტონის მიხედვით, შეინიშნებოდა თუ არა ონლაინ მედიასაშუალებების მიკერძოება რომელიმე სუბიექტის მიმართ? რამდენად იცავდა ონლაინ მედია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის ძირითად პრინციპებს ადგილობრივი არჩევნების შემდგომ პერიოდში სუბიექტთა გაშუქების დროს?

მონიტორინგი განხორციელდა ევროკავშირის ფინანსური დახმარებით, გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის - „საქართველოს 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა“ - ფარგლებში.

მონიტორინგისთვის შერჩეული მედიასაშუალებები:

მედიამონიტორინგისთვის შეირჩა 9 ონლაინ მედიასაშუალება. ესენია:

- ambebi.ge;
- interpressnews.ge;
- mpn.ge;
- netgazeti.ge;
- news.on.ge;
- publika.ge;
- radiotavisupleba.ge;
- sputnik-georgia.com;
- tabula.ge.

მონიტორინგისთვის მედიასაშუალებები რეიტინგებისა და მედიის სპეციალისტების გამოკითხვის საფუძველზე შეირჩა.

მონიტორინგის სუბიექტები

- საარჩევნო სუბიექტები (პარტიები, პოლიტიკოსები და დამოუკიდებელი კანდიდატები, რომლებიც 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობდნენ);
- მთავრობა (ცენტრალური, ადგილობრივი, აჭარის ა/რ);
- პრეზიდენტი;
- ბიძინა ივანიშვილი;
- მიხეილ სააკაშვილი.

მეთოდოლოგია

მონიტორინგი შედგებოდა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის კომპონენტებისგან.

მონიტორინგი უტარდებოდა ყველა მასალას, სადაც მონიტორინგის სუბიექტებზე იყო საუბარი.

მონიტორინგი არ ხორციელდებოდა სარეკლამო მასალებზე, რომლებიც სათანადოდ იყო გამიჯნული სარედაქციო მასალებისგან.

**24 თებერვლიდან, როდესაც რუსეთმა ომი დაიწყო უკრაინაში და ამის პასუხად ევროკავშირში აიკრძალა რუსული პროპაგანდისტული მედიასაშუალებები, მათ შორის სპუტნიკი, მეთოდოლოგიური ცვლილება განიცადა sputnik-georgia.com-ის მონიტორინგმაც. შესაბამისად, 24 თებერვლიდან 24 მარტამდე ამ ვებგვერდზე დამატებითი დაკვირვება ხდებოდა ყველა სტატიაზე, პრორუსული ნარატივების შესწავლის მიზნით.*

<u>რაოდენობრივი ანალიზი</u>

რაოდენობრივი მონიტორინგი განსაზღვრავდა ისეთ ინდიკატორებს, რომლებიც შეიძლება დაითვალოს და გაიზომოს: სუბიექტებისთვის დათმობილი ფართობი, გაშუქების ტონი, სუბიექტის სქესი (კაცი თუ ქალი).

მონიტორინგის სუბიექტების გაშუქების ტონის შეფასების დროს მონიტორები კონკრეტულ მასალაში სუბიექტის გაშუქების რაოდენობასთან ერთად უთითებდნენ, გაშუქების ტონი იყო დადებითი, უარყოფითი თუ ნეიტრალური.

გაშუქებას დადებითი ან უარყოფითი ტონი ენიჭებოდა, თუ: 1) სუბიექტის მიმართ დადებითი ან უარყოფითი შეფასებები იყო ჟურნალისტის ან რესპონდენტის მხრიდან; 2) თუ თავად საკითხი ქმნიდა დადებით ან უარყოფით განწყობას გაშუქებული სუბიექტის მიმართ.

ანგარიშში თითოეული ვებგვერდის რაოდენობრივი მონაცემები წარმოდგენილია ორ ნაწილად - მონიტორინგის დაწყებიდან უკრაინაში რუსეთის ომამდე (24 იანვარი - 23 თებერვალი) და ომის დაწყებიდან მონიტორინგის დასრულებამდე (24 თებერვალი - 23 მარტი), რათა უფრო თვალსაჩინოდ იყოს წარმოდგენილი ცვლილებები ქართული ონლაინ მედიის მიერ ქართველ პოლიტიკოსთა გაშუქებაში ომის პერიოდში.

თვისებრივი ანალიზი

თვისებრივი მონიტორინგისას ყურადღება ექცეოდა ისეთ მაჩვენებლებს, რომელთა რაოდენობრივად გაზომვა რთულია, მაგრამ მნიშვნელოვანია ინფორმაციის ხარისხის წარმოსადგენად: ფაქტების სიზუსტე, ბალანსი, ინფორმაციის წყაროთა მრავალფეროვნება, სხვადასხვა სახის დისკრიმინაციის წახალისება, ფოტო და სხვა სახის მანიპულაცია, ჟურნალისტურის ეთიკის ქარტიის სხვა ძირითადი პრინციპებისა და პროფესიული სტანდარტების დაცვა და ა.შ.

მონიტორინგის ძირითადი მიგნებები

- ონლაინ მედიასაშუალებების უმრავლესობა აქტიურად და პროფესიული სტანდარტების დაცვით აშუქებდა რუსეთის ომს უკრაინაში. შედეგად, ონლაინ მედიის მომხმარებელს ეძლეოდა საშუალება, რომ მიეღო ამომწურავი და მრავალმხრივი ინფორმაცია ომის შესახებ;
- შერჩეულ მედიასაშუალებებს შორის მხოლოდ ორი ვებგვერდი - mpn.ge და sputnik-georgia.com აშუქებდა ომის მიმდინარეობას ცალმხრივად და ტენდენციურად. აღსანიშნავია, რომ ორივე ვებგვერდზე ცხადად შეინიშნებოდა ხელისუფლების მიმართ ღია მხარდაჭერა. mpn.ge ომის კონტექსტში აშუქებდა ხელისუფლების მხარდამჭერ პოზიციებს და ოპოზიციურ პარტიებს სისტემატურად ბრალს სდებდა საქართველოს ომში ჩართვის პროვოცირებაში. sputnik-georgia.com კი ომის შესახებ გამოქვეყნებულ ყველა სტატიაში ავრცელებდა

პრორუსულ ნარატივებს (sputnik-georgia.com-ის მიერ გავრცელებული პრორუსული ნარატივების დეტალური ანალიზი წარმოდგენილია ანგარიშის ბოლოს);

- მონიტორინგის პერიოდში ონლაინ მედიის უმეტეს ნაწილში შეინიშნებოდა სარედაქციო დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი. შედეგად, ონლაინ მედიაში ნაკლებად იგრძნობოდა პოლიტიკური პოლარიზაცია;
- შერჩეულ მედიასაშუალებებს შორის არაერთ ვებგვერდზე შეინიშნებოდა უარყოფითი განწყობა ხელისუფლების მიმართ, თუმცა არ გამოვლენილა არც ერთი ვებგვერდი, რომელზეც შეინიშნებოდა მხარდაჭერა რომელიმე ოპოზიციური პარტიის მიმართ;
- უკრაინაში რუსული სამხედრო აგრესიის დაწყების შემდეგ ვებგვერდების დიდ ნაწილში მკვეთრად იმატა უარყოფითი ტონის მაჩვენებლებმა პარტია „კონსერვატიული მოძრაობის“ გაშუქებისას;
- ონლაინ მედიასაშუალებების დიდი ნაწილი ცდილობდა და ახერხებდა, რომ ჯეროვნად დაეცვა ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტი. მონიტორინგისთვის შერჩეულ მხოლოდ ორ ვებგვერდზე (mpn.ge და sputnik-georgia.com) გვხვდებოდა უხეში დარღვევის შემთხვევები;
- ონლაინ მედიაში სულ უფრო იკლებს გენდერული ნიშნით შეურაცხმყოფელი განცხადებების გაშუქება;
- ონლაინ მედიასაშუალებების ნაწილისთვის (interpessnews.ge, ambebi.ge) პრობლემად რჩება სარეკლამო სტატიების არასათანადო გამიჯვნა სარედაქციო მასალებისგან.

მედიამონიტორინგისთვის შერჩეული ონლაინ მედიასაშუალებების ანალიზი:

ambebi.ge

მონიტორინგის პერიოდში ambebi.ge-ზე არ შეინიშნებოდა განსაკუთრებულად დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ. რიგ შემთხვევებში ადგილი ჰქონდა პოლიტიკოსთა მიმართ გამოთქმული მძიმე ბრალდებების ცალმხრივად გაშუქებას. ვებგვერდზე სარეკლამო სტატიები არასათანადოდ იმიჯნებოდა სარედაქციო მასალებისგან.

მონიტორინგის პირველ პერიოდში ambebi.ge-ზე მცირედით ჭარბობდა დადებითი ტონის მაჩვენებლები ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობის გაშუქებისას. უკრაინაში საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ კი იმატა უარყოფითი ტონის მაჩვენებლებმა როგორც მმართველი გუნდის, ასევე ოპოზიციონერ პოლიტიკოსთა გაშუქებისას.

ambebi.ge-ზე გვხვდებოდა შემთხვევები, როდესაც კონკრეტულ პოლიტიკოსთა მიმართ გამოთქმული კონკრეტული ბრალდებები შუქდებოდა ცალმხრივად. მაგალითად, სტატიებში „კალაძეს კონტრაქტი აქვს გაფორმებული რუსულ კომპანიასთან - ეს კომპანია რუსულ საბრძოლო ტექნიკას აწარმოებს - ნიკა მელია“ (11 მარტი); „კახა კალაძემ 170 მლნ ლარის ხელშეკრულება გაუფორმა რუსულ კომპანიას“ - ლევან ხაბეიშვილი“ (12 მარტი) არ ჩანდა რედაქციის მცდელობა, რომ გადაემოწმებინა ბრალდებები და წარმოეჩინა თავად ბრალდებული მხარის კომენტარიც, მითუმეტეს, რომ იმავე დღეს სხვა მედიასაშუალებებში გასაჯაროვდა მეორე მხარის განმარტებები და რედაქციას შეეძლო აესახა ეს საკუთარ სარედაქციო მასალებშიც.

ambebi.ge-ზე მწვავედ იდგა კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული სტატიების სარედაქციო მასალებისგან არასათანადო გამიჯვნის პრობლემა. სარეკლამო სტატიები ქვეყნდებოდა მითითებით NS და R, რაც არ წარმოადგენს სათანადო სარეკლამო მითითებას ქართულენოვანი მკითხველისთვის. გვხვდებოდა შემთხვევები, როდესაც სარეკლამო სტატიები ქვეყნდებოდა ყოველგვარი მითითების გარეშეც: მაგალითად, 27 იანვარს სარეკლამო მითითების გარეშე გამოქვეყნდა სტატია „აზერბაიჯან-საქართველოს კომბინირებული მოგზაურობა“ - პროექტი, რომელიც ორ ქვეყანას შორის რეგიონის ტურიზმის განვითარებას ისახავს მიზნად“, ხოლო ვებგვერდზე interpressnews.ge იგივე სტატია გამოქვეყნდა სარეკლამო მინიშნებით.


სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
ambebi.ge
24 იანვარი - 23 თებერვალი, 2022
დადებითი
ნეიტრალური
უარყოფითი
მთავრობა 15 74 11
ქართული ოცნება 5 72 23
ნაციონალური მოძრაობა 6 75 19
მიხეილ სააკაშვილი 8 80 12
პრეზიდენტი 8 87 5
ადგილობრივი მთავრობა 16 72 12
საქართველოსთვის 65 31


სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
ambebi.ge
24 თებერვალი - 23 მარტი, 2022
დადებითი
ნეიტრალური
უარყოფითი
ქართული ოცნება 5 72 23
მთავრობა 10 71 19
პრეზიდენტი 11 63 26
მიხეილ სააკაშვილი 17 74 9
ნაციონალური მოძრაობა 66 33
ადგილობრივი მთავრობა 15 65 20
ლელო 83 15





*დიაგრამაზე მოცემულია მხოლოდ ის თემები, სადაც მონიტორინგის სუბიექტები გაშუქდნენ

interpressnews.ge

მონიტორინგის პერიოდში interpressnews.ge-ზე ჭარბობდა დადებითი ტონის მაჩვენებლები ადგილობრივი, ცენტრალური და აჭარის მთავრობის გაშუქებისას. ვებგვერდზე სისტემატურად ირღვეოდა სარეკლამო მასალების გამოქვეყნების სტანდარტი.

interpressnews.ge-ზე ჭარბობდა უარყოფითი ტონის მაჩვენებლები „ქართული ოცნების“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და პარტია „საქართველოსთვის“ გაშუქებისას. უკრაინაში საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ ასევე გაიზარდა უარყოფითი ტონის მაჩვენებელი საქართველოს მთავრობის გაშუქებისას. დადებითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი მაჩვენებლები კი ვლინდებოდა თბილისისა და საქართველოს სხვა ქალაქების მერებისა და მერიების გაშუქებისას.

რუსეთის ომზე უკრაინაში ვებგვერდი აქტიურად აშუქებდა როგორც მმართველი გუნდის, ასევე ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთა კომენტარებს.

interpressnews.ge-ზე უმწვავესია კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული სტატიების სარედაქციო მასალებისგან არასათანადო გამიჯვნის პრობლემა. ასეთი სტატიები რიგ შემთხვევებში ქვეყნდება მითითებით NS ან R, რაც არ წარმოადგენს სათანადო სარეკლამო მინიშნებას ქართულენოვანი მკითხველისთვის. აღსანიშნავია, რომ ასეთი მითითებით გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობამ მკვეთრად იკლო 2020 და 2021 წლებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგებთან შედარებით. თუმცა, მეორე მხრივ, იმატა ყოველგვარი მითითების გარეშე გამოქვეყნებული სარეკლამო სტატიების რაოდენობამ. მონიტორინგის პერიოდში სისტემატურად გვხვდებოდა შემთხვევები, როდესაც interpress-news.ge-ზე სარეკლამო მითითების გარეშე გამოქვეყნებული სტატიები იმავე დღეს იდენტური ტექსტითა და სარეკლამო მითითებით ქვეყნდებოდა სხვა ვებგვერდებზე. ასევე, ვებგვერდზე ხშირად სარედაქციო დამუშავების გარეშე, უცვლელად ქვეყნდებოდა სხვადასხვა სახელმწიფო უწყების პრეს-რელიზები.

მონიტორინგის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ interpressnews.ge-ს მკითხველს არ ეძლევა შესაძლებლობა, რომ გაარჩიოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული სტატიებიდან რომელია სარეკლამო და რომელი ჟურნალისტური ნამუშევარი.


სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
interpressnews.ge
24 იანვარი - 23 თებერვალი, 2022
დადებითი
ნეიტრალური
უარყოფითი
ქართული ოცნება 4 65 31
მთავრობა 23 66 11
ნაციონალური მოძრაობა 2 71 27
მიხეილ სააკაშვილი 6 77 17
ლელო 8 83 9
ადგილობრივი მთავრობა 39 49 12
საქართველოსთვის 77 20


სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
interpressnews.ge
24 თებერვალი - 23 მარტი, 2022
დადებითი
ნეიტრალური
უარყოფითი
ქართული ოცნება 6 66 28
მთავრობა 16 62 22
ნაციონალური მოძრაობა 1 69 30
პრეზიდენტი 6 82 12
ლელო 89
ადგილობრივი მთავრობა 37 55 76
მიხეილ სააკაშვილი 75 18





*დიაგრამაზე მოცემულია მხოლოდ ის თემები, სადაც მონიტორინგის სუბიექტები გაშუქდნენ

news.on.ge

მონიტორინგის პერიოდში news.on.ge გამოირჩეოდა კრიტიკული განწყობით მმართველი გუნდის მიმართ. ჟურნალისტთა ტექსტებში რიგ შემთხვევებში გვხვდებოდა ცინიკური გამონათქვამები მთავრობისა და მმართველი პარტიის წარმომადგენელთა გაშუქებისას. დადებითი განწყობა არც ერთი პოლიტიკური ძალის მიმართ არ გამოვლენილა.

news.on.ge-ზე გამოქვეყნებული სტატიები ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტების დაცვით იყო მომზადებული. თუმცა ახალი ამბების ტექსტებში ხშირად გამოიყენებოდა ბრჭყალებში ჩასმული გარკვეული სიტყვები, რომლებიც არ იყო ციტატები. მსგავსი მიდგომა ცვლიდა ამ სიტყვების შინაარსობრივ დატვირთვას (უმეტეს შემთხვევაში აჩენდა ცინიკურ დამოკიდებულებას) და ხაზს უსვამდა ამა თუ იმ სუბიექტის მიმართ სარედაქციო პოზიციას. მაგალითად, სტატიაში - "ღარიბაშვილი კიევში არჩასვლას ჩაკეტილი საჰაერო სივრცით «ხსნის» (25 თებერვალი) სათაურშივე იყო გამოყენებული ბრჭყალები სიტყვასთან "ხსნის", რაც წარმოაჩენდა რედაქციის პოზიციას, მის უარყოფით დამოკიდებულებას პრემიერის მიმართ; კიდევ ერთ სტატიაში ("ვაქცინა ომიკრონზე უბრალოდ არ მუშაობს — ღარიბაშვილი" , 24 თებერვალი) ჟურნალისტი წერდა - "ღარიბაშვილი ბუსტერის «უშედეგობაზე» საუბრობს". აქაც ბრჭყალებში ჩასმული სიტყვა "უშედეგობაზე" არ ემსახურებოდა პრემიერის განცხადების ციტირებას, არამედ - მის ნეგატიურ კონოტაციაზე ახდენდა აუდიტორიის ფოკუსირებას.

news.on.ge აქტიურად აშუქებდა რუსეთის ომს უკრაინაში. საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ ვებგვერდზე მკვეთრად იმატა პარტია „კონსერვატიული მოძრაობის" მიმართ უარყოფითი ტონის შემცველი სტატიების რაოდენობამ. უარყოფითი გაშუქება უმეტესად უკავშირდებოდა პარტიისა და მათი ტელევიზია „ალტ-ინფოს" ღიად პრორუსულ განცხადებებსა და ოფისების გახსნას საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

news.on.ge-ზე სარეკლამო სტატიები მკაფიოდ იყო გამიჯნული სარედაქციო მასალებისგან.


სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
news.on.ge
24 იანვარი - 23 თებერვალი, 2022
დადებითი
ნეიტრალური
უარყოფითი
მთავრობა 4 78 18
ქართული ოცნება 2 77 21
ნაციონალური მოძრაობა 4 79 17
მიხეილ სააკაშვილი 3 91 6
ადგილობრივი მთავრობა 10 77 13
ლელო 80 19
პრეზიდენტი 93


სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
news.on.ge
24 თებერვალი - 23 მარტი, 2022
დადებითი
ნეიტრალური
უარყოფითი
მთავრობა 7 69 24
ქართული ოცნება 5 77 18
პრეზიდენტი 7 80 13
ნაციონალური მოძრაობა 55 45
კონსერვატიული მოძრაობა 94
მიხეილ სააკაშვილი
ადგილობრივი მთავრობა





*დიაგრამაზე მოცემულია მხოლოდ ის თემები, სადაც მონიტორინგის სუბიექტები გაშუქდნენ

netgazeti.ge

მონიტორინგის პერიოდში netgazeti.ge-ზე შეინიშნებოდა კრიტიკული განწყობა მმართველი გუნდის მიმართ. ვებგვერდზე გამოქვეყნებული სტატიები მზადდებოდა ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტების მაღალ დონეზე დაცვით.

netgazeti.ge-ზე უარყოფითი ტონის საკმაოდ მაღალი პროცენტული მაჩვენებლები ვლინდებოდა მმართველი პარტიისა და ცენტრალური თუ ადგილობრივი მთავრობის გაშუქებისას. დადებითი ტონის მაღალი მაჩვენებლები მონიტორინგის არც ერთი სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა.

netgazeti.ge აქტიურად და სტანდარტების დაცვით აშუქებდა რუსეთის ომს უკრაინაში. ვებგვერდზე აქტიურად შუქდებოდა მმართველი გუნდისა და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთა განცხადებები ომის შესახებ. საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ ვებგვერდზე საგრძნობლად იმატა „კონსერვატიული მოძრაობის“ მიმართ უარყოფითი ტონის შემცველი სტატიების რაოდენობამ. უარყოფითი გაშუქება უმეტესად უკავშირდებოდა პარტიისა და მათი ტელევიზია „ალტ-ინფოს“ ღიად პრორუსულ განცხადებებსა და ოფისების გახსნას საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

netgazeti.ge-ზე სარეკლამო სტატიები მკაფიოდ იყო გამიჯნული სარედაქციო მასალებისგან.




სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
netgazeti.ge
24 თებერვალი - 23 მარტი, 2022
დადებითი
ნეიტრალური
უარყოფითი
მთავრობა 4 67 29
ქართული ოცნება 1 76 23
პრეზიდენტი 5 81 14
ნაციონალური მოძრაობა 68 31
კონსერვატიული მოძრაობა 50 50
მიხეილ სააკაშვილი 87
ლელო 97


თემების გაშუქება (%)
netgazeti.ge
24 იანვარი - 23 თებერვალი, 2022
18
6
6
5
3
62
კრიზისი / ომი უკრაინაში
პანდემია / კოვიდი
პარლამენტის წევრების მანდატების შეჩერება
სააკაშვილის პატიმრობა
საკრებულოების თავმჯდომარეების არჩევა
სხვა



*დიაგრამაზე მოცემულია მხოლოდ ის თემები, სადაც მონიტორინგის სუბიექტები გაშუქდნენ

radiotavisupleba.ge

მონიტორინგის პერიოდში radiotavisupleba.ge აქტიურად და მიუკერძოებლად აშუქებდა მიმდინარე მოვლენებს. ვებგვერდზე არ შეინიშნებოდა განსაკუთრებულად დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ. სტატიები მზადდებოდა ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტების მაღალ დონეზე დაცვით.

უარყოფითი ტონის შედარებით მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა მთავრობის, „ქართული ოცნებისა“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გაშუქებისას. დადებითი ტონის მაღალი მაჩვენებლები მონიტორინგის არც ერთი სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა.

radiotavisupleba.ge აქტიურად და პროფესიონალურად აშუქებდა რუსეთის ომს უკრაინაში. ვებგვერდზე აქტიურად შუქდებოდა მმართველი გუნდისა და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთა განცხადებები ომის შესახებ. საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ ვებგვერდზე საგრძნობლად იმატა „კონსერვატიული მოძრაობის“ მიმართ უარყოფითი ტონის შემცველი სტატიების რაოდენობამ. უარყოფითი გაშუქება უმეტესად უკავშირდებოდა პარტიისა და მათი ტელევიზია „ალტ-ინფოს“ ღიად პრორუსულ განცხადებებსა და ოფისების გახსნას საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

radiotavisupleba.ge სათანადო ყურადღებას უთმობდა გენდერულად მგრძნობიარე საკითხების გაშუქებას. მაგალითად, სპეციალური სტატია დაეთმო კულტურის მინისტრის სექსისტური განცხადების გენდერის სპეციალისტთა მიერ შეფასებებს („სექსისტური და ტრანსფობიურიც - თეა წულუკიანის სიტყვები გენდერის სპეციალისტების შეფასებით“, 11 თებერვალი).


სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
radiotavisupleba.ge
24 იანვარი - 23 თებერვალი, 2022
დადებითი
ნეიტრალური
უარყოფითი
მთავრობა 3 79 18
ქართული ოცნება 3 79 18
ნაციონალური მოძრაობა 3 81 16
მიხეილ სააკაშვილი 1 85 14
ლელო 5 86 9
პრეზიდენტი 96
ადგილობრივი მთავრობა 76 19


სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
radiotavisupleba.ge
24 თებერვალი - 23 მარტი, 2022
დადებითი
ნეიტრალური
უარყოფითი
მთავრობა 5 78 17
ქართული ოცნება 3 74 23
პრეზიდენტი 6 78 16
ნაციონალური მოძრაობა 79 21
მიხეილ სააკაშვილი 8 77 15
კონსერვატიული მოძრაობა 45 55
ლელო 98





*დიაგრამაზე მოცემულია მხოლოდ ის თემები, სადაც მონიტორინგის სუბიექტები გაშუქდნენ

mpn.ge

მონიტორინგის პერიოდში mpn.ge-ზე სისტემატურად გვხვდებოდა ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტების უმძიმესი დარღვევის შემთხვევები. ვებგვერდზე ნათლად შეინიშნებოდა ხელისუფლების მხარდაჭერისა და ოპოზიციონერ პოლიტიკოსთა დისკრედიტაციის მცდელობა.

ვებგვერდზე გამოქვეყნებულ სტატიებში სისტემატურად გვხვდებოდა ოპოზიციონერ პოლიტიკოსთა მიმართ დაუსაბუთებელი ბრალდებების ცალმხრივად გაშუქება, ოპოზიციონერ პოლიტიკოსთა უმძიმესი შეურაცხყოფა. მაგალითად, 8 თებერვალს mpn.ge-ზე გამოქვეყნდა ექსპერტ გია გაბრიჭიძის ფეისბუკ პოსტი, სადაც ოპოზიციის მისამართით ეწერა შემდეგი: „გვითხარით და წადით. ქაჯანები ხართ თქვე @@@-ებო? წააადით, წააადით. მაინცადამაინც ჭია-კოკონა უნდა დავანთოთ, რომ ჭია-ღუებივით დაგწვათ კოცონზე? ესენი ვინ ყოფილან ბლიად!!!".

უკრაინაში რუსეთის მიერ ომის დაწყების შემდეგ mpn.ge-ზე მოვლენები შუქდებოდა ცალმხრივად - ერთი მხრივ კრიტიკისა და ანალიზის გარეშე შუქდებოდა ხელისუფლების პოლიტიკის მხარდამჭერი განცხადებები, მეორე მხრივ კი შუქდებოდა ცნობები იმის შესახებ, რომ ოპოზიციური პარტიები საქართველოს ომში ჩართვის პროვოცირებას ისახავდნენ მიზნად. ქვეყნდებოდა შეურაცხმყოფელი განცხადებები უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენელთა მიმართაც; მაგალითად: „იცით, რატომ არის ასეთ დიდ გულზე საქართველოსთან მიმართებაში ეს კოლომოისკის ჯიბის კლოუნი, @ლეფანდურა ზელენსკი?" (1 მარტი); „არახამია შე ბოზო... ზურგში დანა იცი რა არის? ჩემი ქვეყნის მოსახლეობის 90% რომ გააწამა იმ ხალხის მანდ შეფარვა და მათი თანამდებობებზე დანიშვნა" (6 მარტი).

(*ვებგვერდზე ჩატარებული ტექნიკური სამუშაოების გამო *mpn-.ge*-ს მონიტორინგი განხორციელდა 18 მარტამდე)


სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
mpn.ge
24 იანვარი - 23 თებერვალი, 2022
დადებითი
ნეიტრალური
უარყოფითი
ქართული ოცნება 12 86 2
მთავრობა 26 73 1
ნაციონალური მოძრაობა 1 34 65
მიხეილ სააკაშვილი 4 52 44
ადგილობრივი მთავრობა 40 58 2
საქართველოსთვის 82
ლეიბორისტული პარტია 47


სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
mpn.ge
24 თებერვალი - 17 მარტი, 2022
დადებითი
ნეიტრალური
უარყოფითი
ქართული ოცნება 10 88 2
მთავრობა 25 74 1
ნაციონალური მოძრაობა 7 93
მიხეილ სააკაშვილი 4 22 74
პრეზიდენტი 29 68
ადგილობრივი მთავრობა 40 60
ლელო 89





*დიაგრამაზე მოცემულია მხოლოდ ის თემები, სადაც მონიტორინგის სუბიექტები გაშუქდნენ

publika.ge

მონიტორინგის პერიოდში publika.ge აქტიურად და მიუკერძოებლად აშუქებდა მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. სტატიები მზადდებოდა ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტების მაღალ დონეზე დაცვით.

უარყოფითი ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა მთავრობის, „ქართული ოცნებისა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გაშუქებისას. დადებითი ტონის მაღალი მაჩვენებლები მონიტორინგის არც ერთი სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა.

publika.ge აქტიურად და პროფესიონალურად აშუქებდა რუსეთის ფედერაციის საომარ მოქმედებებს უკრაინაში. ვებგვერდი მკითხველს აცნობდა როგორც მმართველი გუნდის, ასევე ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთა ხედვებსა და მოსაზრებებს ომთან დაკავშირებით. საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ ვებგვერდზე საგრძნობლად იმატა უარყოფითი ტონის შემცველი სტატიების რაოდენობამ „კონსერვატიული მოძრაობის“ მიმართ. უარყოფითი გაშუქება უმეტესად უკავშირდებოდა პარტიისა და მათი ტელევიზია „ალტ-ინფოს“ ღიად პრორუსულ განცხადებებსა და ოფისების გახსნას საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

მიუხედავად იმისა, რომ publika.ge-ზე შეინიშნებოდა ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტების მაღალ დონეზე დაცვის მცდელობა, მონიტორინგის პერიოდში ვებგვერდზე გამოქვეყნდა ორი სტატია, რომლებშიც პოლიტიკოსთა სექსისტური განცხადებები შესაბამისი შეფასებების გარეშე გაშუქდა. სტატიებში „ჩვენს ტრადიციებში არ ჯდება, ქართველმა ქალმა მამაკაცს დაუწუნოს ვაჟკაცობა - წულუკიანი“ (11 მარტი) და „ნათელაშვილი: „ვუყურებ ზურაბიშვილის გამოსვლას და ესაა დედალი ბიძინა ივანიშვილი“ (14 მარტი) პოლიტიკოსთა სექსისტური განცხადებები წარმოდგენილი იყო სტატიების სათაურებად და არ ჩანდა რედაქციის მიერ ამ გამონათქვამებისგან გამიჯვნის მცდელობა.

publika.ge-ზე სარეკლამო სტატიები მკაფიოდ იყო გამიჯნული სარედაქციო მასალებისგან.


სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
publika.ge
24 იანვარი - 23 თებერვალი, 2022
დადებითი
ნეიტრალური
უარყოფითი
მთავრობა 6 65 29
ქართული ოცნება 3 68 29
ნაციონალური მოძრაობა 1 79 20
მიხეილ სააკაშვილი 4 91 5
ადგილობრივი მთავრობა 13 74 13
ლელო 9 82 9
პრეზიდენტი 93


სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
publika.ge
24 თებერვალი - 23 მარტი, 2022
დადებითი
ნეიტრალური
უარყოფითი
მთავრობა 4 74 22
ქართული ოცნება 1 81 18
პრეზიდენტი 5 87 8
კონსერვატიული მოძრაობა 40 58
ნაციონალური მოძრაობა 49 50
მიხეილ სააკაშვილი 78
ლელო 90





*დიაგრამაზე მოცემულია მხოლოდ ის თემები, სადაც მონიტორინგის სუბიექტები გაშუქდნენ

tabula.ge

მონიტორინგის პერიოდში tabula.ge-ზე შეინიშნებოდა უარყოფითი განწყობა მმართველი გუნდის მიმართ. ვებგვერდზე გამოქვეყნებული სტატიები ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტების დაცვით მზადდებოდა, თუმცა რიგ შემთხვევებში გვხვდებოდა ფოტომანიპულაციის შემთხვევები.

tabula.ge-ზე ჭარბობდა უარყოფითი ტონის მაჩვენებლები ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობის, მმართველი პარტიისა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გაშუქებისას.

tabula.ge აქტიურად აშუქებდა რუსეთის ომს უკრაინაში. საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ ვებგვერდზე მკვეთრად იმატა პარტია „კონსერვატიული მოძრაობის“ მიმართ უარყოფითი ტონის შემცველი სტატიების რაოდენობამ. უარყოფითი გაშუქება უმეტესად უკავშირდებოდა პარტიისა და მათი ტელევიზია „ალტ-ინფოს“ ღიად პრორუსულ განცხადებებსა და ოფისების გახსნას საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. ომის პერიოდში აქტიურად შუქდებოდა როგორც ხელისუფლების, ასევე ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთა განცხადებები, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებებს რიგ შემთხვევებში ერთვოდა ისეთი ფოტოსურათები, რომლებშიც ისინი განგებ იყვნენ წარმოდგენილნი დამაკნინებელი ან დამცინავი რაკურსით, რაც მათი განცხადებების შესახებ ცინიკურ განწყობას ქმნიდა (მაგალითად, სტატიებში: „პრემიერი: უკრაინას უპრეცედენტოდ დავუჭირეთ მხარი, ჩემი უზენაესი ინტერესი უსაფრთხოებაა“, 21 მარტი; „ვოლსკი: ახლა ელჩის გაწვევა, როცა ჩვენი ელჩი იქ ტყვიების ქვეშაა, დამატებით კითხვებს აჩენს“, 1 მარტი).

tabula.ge-ზე სარეკლამო სტატიები მკაფიოდ იყო გამიჯნული სარედაქციო მასალებისგან.


სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
tabula.ge
24 იანვარი - 23 თებერვალი, 2022
დადებითი
ნეიტრალური
უარყოფითი
მთავრობა 13 60 27
ქართული ოცნება 3 58 39
ევროპული საქართველო 3 95 2
ნაციონალური მოძრაობა 10 66 24
მიხეილ სააკაშვილი 18 79 3
ლელო 11 75 14
ადგილობრივი მთავრობა 18 57 25


სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
tabula.ge
24 თებერვალი - 23 მარტი, 2022
დადებითი
ნეიტრალური
უარყოფითი
მთავრობა 14 59 27
ქართული ოცნება 3 67 30
პრეზიდენტი 6 67 27
ევროპული საქართველო 96 4
ნაციონალური მოძრაობა 35 65
მიხეილ სააკაშვილი 74
ადგილობრივი მთავრობა 74





*დიაგრამაზე მოცემულია მხოლოდ ის თემები, სადაც მონიტორინგის სუბიექტები გაშუქდნენ

sputnik-georgia.com

მონიტორინგის პერიოდში sputnik-georgia.com-ზე ნათლად შეინიშნებოდა ერთი მხრივ ხელისუფლების ღია მხარდაჭერა, მეორე მხრივ კი ოპოზიციონერ პოლიტიკოსთა დისკრედიტაციის მცდელობა.

დადებითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი მაჩვენებლები ვლინდებოდა ადგილობრივი, ცენტრალური და აჭარის მთავრობის გაშუქებისას. განსაკუთრებულად დადებითი განწყობა შეინიშნებოდა თბილისის მერის, კახა კალაძის, მიმართ. მონიტორინგის პერიოდში სისტემატურად ქვეყნდებოდა დადებითი სტატიები არა მარტო მისი საქმიანობის, არამედ პირადი ცხოვრების შესახებ (მაგალითად, „კახა კალაძე უზარმაზარ თოვლში ჩახტა - ანუკი არეშიძე ვიდეოს აქვეყნებს“, 11 თებერვალი; „ყველას ერთად გვძინავს...“ - ანუკი არეშიძე საწოლიდან ფოტოს აქვეყნებს“, 24 თებერვალი). ასევე ნიშანდობლივია, რომ 19 თებერვალს გამოქვეყნებული სტატია „ბრძოლა გარევაჭრობასთან თბილისში: ვარკეთილის მეტროს მიმდებარე ტერიტორია დაცარიელდა - ფოტო“, რომელიც იწყება ჟურნალისტის ტექსტით „თბილისის მერიამ მეტრო ვარკეთილის მიმდებარე ტერიტორია გარემოვაჭრეებისგან გაწმინდა“, აღნიშნულია, რომ ეს პროცესი თავად გარემოვაჭრეებს არ გაუპროტესტებიათ, რაც თავისთავად ყალბ ცნობას წარმოადგენს, ვინაიდან გარემოვაჭრეების მწვავე პროტესტი მოცემულ პერიოდში აქტიურად შუქდებოდა ქართულ მედიაში.

ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთა მიმართ უმეტესად ქვეყნდებოდა გადაუმოწმებელი ცნობები და დაუსაბუთებელი ბრალდებები. მონიტორინგის პერიოდში sputnik-georgia.com გამუდმებით ცდილობდა, რომ მკითხველისთვის შეექმნა შთაბეჭდილება ოპოზიციურ პარტიებს შორის დაპირისპირების შესახებ (მაგალითად, სტატიებში: „ნაცმოძრაობა“ განხეთქილების ზღვარზეა? ახალი სკანდალი სააკაშვილის პარტიაში“, 8 თებერვალი; „გიგი უგულავას ახალი ინიციატივა: რა შანსები აქვს გაერთიანებულ ოპოზიციას“, 8 თებერვალი).


სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
sputnik-georgia.com
24 იანვარი - 23 თებერვალი, 2022
დადებითი
ნეიტრალური
უარყოფითი
მთავრობა 35 61 4
ქართული ოცნება 5 87 8
ადგილობრივი მთავრობა 58 41
მიხეილ სააკაშვილი 71 29
ნაციონალური მოძრაობა 78 21
ლელო 71 28
პრეზიდენტი 14 84


სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
sputnik-georgia.com
24 თებერვალი - 23 მარტი, 2022
დადებითი
ნეიტრალური
უარყოფითი
მთავრობა 30 68 2
ქართული ოცნება 7 86 7
ადგილობრივი მთავრობა 47 53
პრეზიდენტი 87 12
მიხეილ სააკაშვილი 85 15
ნაციონალური მოძრაობა 44 56
პატრიოტთა ალიანსი





*დიაგრამაზე მოცემულია მხოლოდ ის თემები, სადაც მონიტორინგის სუბიექტები გაშუქდნენ

პრორუსული ნარატივები ვებგვერდზე sputnik-georgia.com

24 თებერვლიდან 23 მარტის ჩათვლით დაკვირვება განხორციელდა sputnik-georgia.com-ზე გამოქვეყნებულ ყველა სტატიაზე, მათში გამოყენებული პრორუსული ნარატივების შესწავლის მიზნით.

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა პრორუსული ნარატივის შემცველი 9 მესიჯის გამოყენების შემთხვევა არაერთ სტატიაში. კერძოდ, 1 თვის განმავლობაში ეს მესიჯები ჯამში 90 სტატიაში იყო გამოყენებული . აღსანიშნავია, რომ რუსეთის მიერ უკრაინაში ომის დაწყების პირველ დღეებში ვებგვერდი ამ თემაზე უფრო მეტ მასალას ამზადებდა, ვიდრე მონიტორინგის დასრულებისას. თავდაპირველად თუ მესიჯის შემცველი 10-15 სტატია ქვეყნდებოდა, დასასრულს ასეთი მხოლოდ 1 ან 2 იყო.



- მესიჯი **#1:** „რუსეთი უკრაინაში ახორციელებს სპეციალურ სამხედრო ოპერაციას უკრაინის დენაციფიკაცია-დემილიტარიზაციისთვის“

  “პუტინის განცხადებით, სამხედრო ოპერაციის მიზანია იმ ადამიანების დაცვა, „რომლებიც რვა წლის განმავლობაში დამცირებას იტანენ“. და ამ მიზნის მისაღწევად რუსეთი „უკრაინის დემილიტარიზაციისა და დენაციფიკაციას“ მოახდენს“, - ამ მესიჯს “სპუტნიკ-საქართველო”ომის თემაზე მომზადებულ თითქმის ყველა მასალაში ბექგრაუნდად იყენებდა და დრო და დრო მცირე შესწორებებით აქვეყნებდა. მაგალითად: რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა დონბასის რესპუბლიკების ხელმძღვანელების მხრიდან დახმარების თხოვნაზე საპასუხოდ 24 თებერვალს დონბასში სპეციალური სამხედრო ოპერაციის დაწყება გამოაცხადა. მან აღნიშნა, რომ უკრაინის ტერიტორიების მიტაცებას რუსეთი არ გეგმავს, და ამის მიზანია „უკრაინის დემილიტარიზაცია და დენაციფიკაცია“; მიმდინარე წლის 24 თებერვლის დილის 6 საათზე რუსეთმა უკრაინაში სამხედრო ოპერაცია წამოიწყო. პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა ოპერაციის მიზნად უკრაინის „დემილიტარიზაცია და დენაციფიკაცია“ დაასახელა და განაცხადა, რომ მეზობელი სახელმწიფო „ნაცისტებისგან“ უნდა გაიწმინდოს და სხვ.

- მესიჯი #2: „რუსები და რუსულენოვანი ხალხი იდევნება უკრაინის ტერიტორიაზე უკრაინელების მიერ“

  ამ მესიჯს შეიცავდა სპუტნიკზე გამოქვეყნებული სტატიები - “პუტინი უკრაინელ სამხედროებს – აიღეთ ძალაუფლება ხელში!” (25 თებერვალი); “რუსეთი შვეიცარიისთვის საპასუხო სანქციების დაწესებას აპირებს” (1 მარტი).

- მესიჯი #3: „რუსეთის ბაზარი საქართველოს ეკონომიკისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია“

  ამ მესიჯის მატარებელი იყო სპუტნიკზე გამოქვეყნებული არაერთი სტატია: მაგალითად, სტატიაში - “ქართული საწარმოები რუსეთში რძისა და რძის ნაწარმის მიწოდებას შეძლებენ” (5 მარტი), აღნიშნულია, რომ “დღეს რუსეთი საქართველოს ერთ-ერთი მთავარი სავაჭრო პარტნიორია”; ხოლო სტატიაში - „ქართული ოცნება» – უკრაინის მხრიდან საქართველოს ხელისუფლების კრიტიკა სამწუხაროა (7 მარტი) ხელისუფლების წარმომადგენელი, მამუკა მდინარაძე აცხადებს, რომ “რაციონალიზმს არის მოკლებული იმგვარი სანქციების დაწესება, რომლებიც რუსეთს ვერაფერს ავნებს, საქართველოს მოსახლეობას კი უმძიმეს ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებს შეუქმნის”.

- მესიჯი #4: „რუსეთს დასავლეთის სანქციები ვერ აზიანებს“

  ამ მესიჯს ვებგვერდი ძირითადად მაშინ ავრცელებდა, როდესაც რუსი პოლიტიკოსების განცხადებების შესახებ ინფორმაციას აქვეყნებდა. მაგალითად, სტატიაში - “რუსეთის

საგარეო უწყება: დასავლეთის ზეწოლა მოსკოვს კურსს ვერ შეაცვლევინებს" (14 მარტი) რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე სერგეი შერმანინი აცხადებს:„ანტირუსულ სანქციებს იღებენ ისინი, ვისაც რუსეთზე ზეწოლა სურს, რათა მისი ეკონომიკა და ხალხი ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩააყენონ, მაგრამ ეს სანქციები, გარდა იმისა, რომ „როგორც ზეწოლის ინსტრუმენტი, არალეგიტიმურია, და, მეორეც, შედეგს არ მოიტანს"..

- მესიჯი #5**:** „ამერიკა რუსეთს ებრძვის ბიოქიმიური ლაბორატორიებით ევროპაში"

  სტატიაში - "Reuters: ჯანმომ უკრაინას განსაკუთრებით საშიში პათოგენების განადგურება მოსთხოვა" (11 მარტი) აღნიშნულია რუსეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადება, რომ "უკრაინაში მიმდინარე „დემილიტარიზაცია-დენაციფიკაციის" პროცესში აშშ-ის მიერ შექმნილი და დაფინანსებული ბიოლაბორატორიები აღმოაჩინეს". კიდევ ერთ სტატიაში კი გამოცემა რუსეთის შეიარაღებული ძალების რადიაციული, ქიმიური და ბიოლოგიური დაცვის ჯარების სარდლის განცხადებას ციტირებს, რომლის მიხედვით, "ღორის აფრიკული ჭირი, რომელიც აქტიურად ცირკულირებს 2007 წლიდან, საქართველოს ლაბორატორიაში გამოიყვანეს" (პაპუაშვილი: ლუგარის ლაბორატორიის საქმიანობა გაჭვირვალეა, 11 მარტი)

- მესიჯი #6**: "**რუსეთის სამიზნე არ არის მშვიდობიანი მოსახლეობა**"**

  მაგალითად, სტატია - "ერდოღანმა რუსეთსა და უკრაინას მოლაპარაკებების გამართვის ადგილად თურქეთი შესთავაზა" (27 თებერვალი) სრულდება რუსეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, რომ: „რუსი სამხედრო მოსამსახურეები არ აყენებენ დარტყმებს ქალაქებს, არამედ მწყობრიდან გამოჰყავთ მხოლოდ სამხედრო ინფრასტრუქტურა, ამიტომ სამოქალაქო მოსახლეობას არაფერი ემუქრება".

- მესიჯი #7**:** „დასავლეთი უკრაინას სათანადოდ არ დაეხმარა/დასავლეთმა უკრაინა მიატოვა"

  მაგალითად, სტატიაში - "ინაშვილი: საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი სამხედრო ნეიტრალიტეტის მომხრეა" (22 მარტი) "საქართველოს პატრიოტთა ალიანსის" ერთ-ერთი ლიდერი ირმა ინაშვილი აცხადებს: „ზელენსკი ღიად აცხადებს, რომ ნატო მათთვის დამთავრდა და ვიმეორებ: მიდის შეთანხმება ნეიტრალიტეტზე, ნეიტრალიტეტის უკრაინულ მოდელზე!"

- მესიჯი **#8:** „რუსეთი უკრაინაში ომით თავს იცავს ნატოს აგრესიისგან"

ეს მესიჯი ვებგვერდზე გამოქვეყნებულ იმ სტატიებში გაჟღერდა, რომლებიც რუსეთის მაღალჩინოსნების განცხადებებს შეეხებოდა. მაგალითად, სტატიაში - "კონაშენკოვი: რუსეთს კიევის საიდუმლო დოკუმენტები ჩაუვარდა ხელში" (9 მარტი) ნათქვმია: "რამდენადაა ჩართული აშშ და ნატო დონბასზე შტურმის ოპერაციის გეგმებში, კონაშენკოვის თქმით, ჯერჯერობით გაურკვეველია. ცნობილია, რომ ამერიკელმა და ბრიტანელმა ინსტრუქტორებმა რამდენიმე უკრაინული შენაერთი მოამზადეს „ნატოს სტანდარტის" სასწავლო პროგრამებით".

- მესიჯი #9: „ნატოს გაფართოება რუსეთისთვის საფრთხეა"

  ამ მესიჯის შემცველი აღმოჩნდა ვებგვერდზე გამოქვეყნებული „საქართველოს პატრიოტთა ერთიანი ფრონტისა" და ირმა ინაშვილის განცხადებები.

sputnik-georgia.com განსაკუთრებული სიხშირით აქვეყნებდა რუსეთის პრეზიდენტის განცხადებებს ომის შესახებ. მისი განცხადებები შუქდებოდა კრიტიკული ანალიზის გარეშე და გამოიყენებოდა ბექგრაუნდად დღის განმავლობაში გამოქვეყნებულ სტატიებში. ომის შესახებ ქვეყნდებოდა რუსეთის ხელისუფლების სხვა წარმომადგენელთა კომენტარებიც: დმიტრი პესკოვი, სერგეი ლავროვი, პიოტრ ტოლსტოი, სერგეი შერშინინი, იგორ კირილიოვი, იგორ კონაშენკოვი, სერგეი რიბკოვი, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, რუსეთის თავდაცვის სამინისტრო, რუსეთის საელჩო შვეიცარიაში

შედარებით იშვიათად იყო წარმოდგენილი ქართველ და დასავლელ პოლიტიკოსთა შეფასებები. ქართველ პოლიტიკოსთა განცხადებები კი წარმოდგენილი იყო პრორუსული ნარატივების გასამყარებლად, მაგალითად, „ქართული ოცნებისა" და „პატრიოტთა ალიანსის" ლიდერთა საჯარო განცხადებები სანქციების არაეფექტურობისა და საქართველოს ეკონომიკის რუსულ ბაზარზე ძლიერი დამოკიდებულების შესახებ. მონიტორინგის პერიოდში გაშუქდა შემდეგ ქართველ პოლიტიკოსთა და ექსპერთა განცადებები: ირაკლი ღარიბაშვილი, ლევან დავითაშვილი, მამუკა მდინარაძე, ირმა ინაშვილი, „საქართველოს პატრიოტთა ეროვნული ფრონტი" სოსო არჩვაძე, ირაკლი ბათიაშვილი.



პრორუსული ნარატივები გვხვდებოდა თავად სტატიების ავტორთა ტექსტებში. თუმცა აღსანიშნავია, რომ sputnik-georgia.com რუსული პოლიტიკის ინტერესებში შემავალ მესიჯებს უმეტესად რესპონდენტთა მოსაზრების გაშუქებით ავრცელებდა. მიუხედავად ამისა, შეინიშნებოდა გაშუქების გარკვეული თავისებურებები. განსაკუთრებით ეს შეეხება ომის თემაზე მომზადებულ მასალებში მედიის მიერ გამოყენებულ ტერმინოლოგიას. მაგალითად, sputnik-georgia.com უკრაინაში მიმდინარე საომარ კონფლიქტს მოიხსენიებდა როგორც „სპეციალურ სამხედრო ოპერაციას“. ამასთან, მონიტორინგის პერიოდში sputnik-georgia.com ომთან დაკავშირებით არ წერდა ისეთ კონკრეტულ მოვლენებზე, როგორიცაა: ვითარება ფრონტზე, ვის მხარეს არის საბრძოლო უპირატესობა, რომელი ქალაქები დაიბომბა, რომელ მხარეს რამდენი გარდაცვლილია და ა.შ. ომის ამბებიდან მხოლოდ მხარეებს შორის მოლაპარაკებებისა და ლტოლვილების შესახებ სიახლეები შუქდებოდა. საანგარიშო

პერიოდში ვებგვერდმა რამდენიმე მასალა მოამზადა რუსეთში მოღვაწე ცნობილი ქართველების და ასევე რუსული შოუბიზნესის წარმომადგენლების შესახებ. მათ შორის იყვნენ სოფო შევარდნაძე, ქეთა თოფურია, თინა კანდელაკი, ასევე, ალა პუგაჩოვა და მაქსიმ გალკინი. მასალების შინაარსი შეეხებოდა მათ ცხოვრებას და კარიერას, სოციალურ ქსელ „ტელეგრამზე“ გადასვლას, შვილების მოქალაქეობას და ა.შ. ყველა ეს მოვლენა კავშირში იყო უკრაინის პროცესების შესახებ მათ შეხედულებებთან თუმცა, არცერთ მასალაში ეს არ ჩანდა. კონკრეტულად, არ უთქვამთ, რომ პუგაჩოვამ და გალკინმა პროტესტის ნიშნად რუსეთი დატოვეს, არც ის, რომ თინა კანდელაკს უკრაინამ სანქციები დაუწესა და არც ის, თუ რატომ გადადიოდნენ რუსული შოუბიზნესის წარმომადგენლები სოციალურ ქსელ „ფეისბუქიდან“ და „ინსტაგრამიდან“ რუსულ „ტელეგრამზე“.

მონიტორინგის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რუსეთის მიერ უკრაინაში ომის დაწყების დღიდან sputnik-georgia.com მოვლენებს აშუქებდა მხოლოდ პრორუსული ნარატივების კონტექსტში და მკითხველს არ სთავაზობდა საკითხის კრიტიკულ ანალიზს ან განსხვავებულ მოსაზრებებს ომის შესახებ. აღსანიშნავია, რომ პრორუსული გზავნილები წარმოდგენილი იყო აბსოლუტურად ყველა სტატიაში, რომლებიც ომის თემას ეხებოდა.